

## კურიკულუმი

<b>ფაკულტეტის დასახელება</b>	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
<b>პროგრამის დასახელება</b>	ფსიქიკური ჯანმრთელობა
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია</b>	სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრი (Master of Social Psychiatry)  ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი (Master of Psychotraumatology)
<b>პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</b>	4 სემესტრი/120 კრედიტი
<b>სწავლების ენა</b>	ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	2012 წელს. პროგრამა განახლებადია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)</b>	
<p>კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ფსიქიატრის სპეციალობა ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მედიცინის, ფსიქოლოგიის, საექთნო, ან სოციალური სამუშაოს დისციპლინებში და მინიმუმ 2 წელი პრაქტიკა ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) სფეროში; ასევე კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები (შესაბამისი ტიპი) და ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (ზეპირი გამოცდა) სპეციალობაში.</p> <p>კონკურსანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. ზეპირი გამოცდის დროს ინგლისური ენის ცონდა შემოწმდება შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის მცირე ზომის მონაკვეთის წაკითხვისა და გადმოცემის (ქართულად) შედეგად.</p> <p>შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რუბრიკაში „მიღება“.</p>	
<b>პროგრამის მიზნები</b>	
<p>ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) სამაგისტრო პროგრამის მიზანია ქვეყნის შესაძლებლობების ზრდა მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის უკეთესი დაცვის კუთხით, პროფესიონალთა და მკვლევართა ახალი თაობის მომზადების გზით.</p> <p>პროგრამა აერთიანებს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მიმართულებებს, ეფუძნება რა ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას. ის აძლევს მაგისტრანტებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ-კლინიკურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს; ხელს უწყობს მაგისტრანტს, ჩაწვდეს აკადემიურ კონცეფციებს ფსიქიატრიასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაში და შეისწავლოს და გააცნობიეროს მათი მიმართებები პრაქტიკასთან. სწავლებისას აქცენტირებულია თანამედროვე მიდგომები და ინტერვენციები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმირების პროცესში (ფჯ სამსახურების დეინსტიტუციონალიზაცია, ინტეგრირება ზოგადი ჯანდაცვის მოწყობაში, ბალანსირებული ზრუნვის მოდელის დანერგვა და ახალი ტიპის სოციალური და სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების განვითარება).</p> <p>პროგრამა ამზადებს პროფესიონალებს ფჯ პოლიტიკის, სტრატეგიის, პროგრამების და სერვისების</p>	

განხორციელების და ამ სფეროში ხარისხიანი კვლევითი სამუშაოს შეტანის მიზნით; ხელს უწყობს მტკიცებულებაზე-დაფუძნებული და ეფექტური ფჯ დაცვის სისტემის განვითარებას.

პროგრამას აქვს ორი მიმართულება: სოციალური ფსიქიატრია და ფსიქოტრავმატოლოგია.

**სოციალური ფსიქიატრია** სწავლობს კავშირს სოციალურ ფაქტორებსა და ფსიქიკურ აშლილობათა განვითარებას, მიმდინარეობასა და მკურნალობას შორის. სოციალური ფსიქიატრიის მიმართულების მიზანია სოციალური ფსიქიატრიის თეორიული, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საკითხების სწავლება, რაც უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობების საკვანძო სოციალური საკითხების სიღრმისეულ შესწავლის და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ფსიქიატრიულ სერვისებში მუშაობის უნარ-ჩვევების შექმნას.

**ფსიქოტრავმატოლოგია** სწავლობს სხვადასხვა ფსიქოტრავმული მოვლენის - ეთნოკონფლიქტების და ომების, ბუნებრივი კატასტროფების, მძიმე დანაკარგის, ძალადობის და სხვა მატრავმირებელი გამოცდილების - შედეგებს და ზემოქმედებას ადამიანის და ადამიანთან ჯგუფების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებაზე. ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულების მიზანია განავითაროს მაგისტრანტის უნარ-ჩვევები და ცოდნა ტრავმის გამოვლინების იდენტიფიკაციის, მკურნალობისა და მულტიდისციპლინური მოვლის სფეროში; მწვავე კრიზისის და კატასტროფების დროს ადრეული ჩარევების ორგანიზების შესახებ და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების შესახებ. გარდა ამისა, მოამზადოს მაგისტრანტი ფსიქოტრავმატოლოგიის დარგში არსებული აქტუალური გამოწვევების და პრობლემების გადასაჭრელად; გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბების უნარი ინდივიდუალური, ოჯახური თუ სოციალური პრობლემური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით.

### სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

#### ცოდნა და გაცნობიერება **სოციალურ ფსიქიატრიაში**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებული იქნება:

- ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ინტერპერსონალური და სოციო-კულტურული ფაქტორების გავლენის, სხვადასხვა დისციპლინის ფსიქიკური ჯანმრთელობასთან კავშირის სისტემურ ცოდნას;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების, ასევე ფჯ სფეროში შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების სპეციფიკის შესახებ ღრმა და კომპლექსურ ცოდნას (საერთაშორისო და საქართველოს გამოცდილება, განვითარების ისტორია, თანამედროვე ხედვა);
- ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ეთიკური საკითხებისა და საკანონმდებლო კონტექსტის სისტემურ ცოდნას;
- სოციალური ფსიქიატრიის პრინციპებზე დამყარებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის მეთოდების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნას;

სოციალური ფსიქიატრიის საკვანძო სოციალური საკითხების შესწავლის თანამედროვე მეთოდების და მიდგომების სისტემური ცოდნა;

- ცოდნა და გაცნობიერება **ფსიქოტრავმატოლოგიაში**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებული იქნება:

- ღრმა და სისტემურ ცოდნას ფსიქოტრავმატოლოგიურ სფეროში, რომელიც მოიცავს როგორც თანამედროვე კონცეფციებს, უახლეს პრაქტიკულ და სამეცნიერო მიღწევების შესახებ კომპლექსურ ცოდნას, ასევე სხვადასხვა ფსიქოტრავმული მოვლენების შედეგად გამოწვეული ფსიქო-ტრავმის

გამოვლინებების იდენტიფიკაციის, მკურნალობისა და მულტიდისციპლინური მართვის თანამედროვე მეთოდების სისტემურ ცოდნას.

- სისტემური ცოდნა ფსიქოტრავმატოლოგიის დარგში არსებული აქტუალური გამოწვევების და პრობლემების შესწავლის თანამედროვე მეთოდების და პრინციპების შესახებ;

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება **სოციალურ ფსიქიატრიაში**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ფსიქო-სოციალური და კულტურული ფაქტორების იდენტიფიკაციისა და ეფექტური ჩარევის სტრატეგიის შემუშავებას;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სტრატეგიის კრიტიკულ ანალიზს, შეფასებასა და შესაბამის რეკომენდაციებზე მუშაობას; ასევე, ფჯ-ს სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ეფექტურობის და პროგრამების შედეგების ანალიზს;
- ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეთიკური სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკაში გამოყენებას; ასევე, საკანონმდებლო კონტექსტის სისტემურ ანალიზს და საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენებას;
- მულტიდისციპლინურ ჯგუფთან ერთად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ანალიზს, შესაბამისი ინტერვენციის შერჩევას, დაგეგმვასა და მართვას;
- სამეცნიერო ინტერესის მქონე საკვლევე საკითხის შერჩევასა და კვლევითი სტრატეგიის შემუშავებას, ჰიპოთეზის/საკვლევე კითხვის ჩამოყალიბებას, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას.

#### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება **ფსიქოტრავმატოლოგიაში**

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- ტრავმის გამოვლინებების იდენტიფიკაციას, მკურნალობის და მულტიდისციპლინური მოვლის გასნაზღვრას; მწვავე კრიზისის და კატასტროფების დროს ადრეული ჩარევების ორგანიზებასა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;
- კომპლექსურ გარემოში არსებული პრობლემების გადაჭრაზე გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობას ფსიქოტრავმატოლოგიის თანამედროვე ცოდნისა და პრობლემების მართვის მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით;
- ფსიქოტრავმატოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად კვლევის წარმოებას უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით ინდივიდუალური, ოჯახური თუ სოციალური პრობლემური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით;

#### დასკვნის უნარი (ორივე მიმართულებისთვის)

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- სამედიცინო აზროვნების, პაციენტის ანამნეზის და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე დიაგნოსტიკის/პრობლემის შეფასების და ფორმულირების უნარი;
- ფჯ-სფეროს აქტუალური საკითხების კვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემების თანმიმდრევერულ და კომპლექსურ ანალიზს; ანალიზის საფუძველზე პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი;

კომუნიკაციის უნარი (ორივე მიმართულებისთვის)

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

- კლიენტთან და მოსარგებლეთა ჯგუფთან კომუნიკაციის, რაპორტის დამყარებისა და ინფორმაციის მოპოვების უნარი;
- სხვადასხვა აუდიტორიისათვის (სტუდენტური, პედაგოგთა, პროფესიული თემი) განხორციელებული სამეცნიერო კვლევის მეთოდის, პროცესის, მოპოვებული მონაცემებისა და შედეგების ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიურად წარდგენის უნარი და ასევე აღნიშნულ საკითხებზე ერთობლივი მსჯელობის/დისკუსიის უნარი;
- პროფესიულ ურთიერთობებში პროფესიულ ეთიკაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უნარი;
- ჯგუფში, მათ შორის მულტიდისციპლინურ გუნდში, მუშაობის უნარი.

სწავლის უნარი (ორივე მიმართულებისთვის)

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის საჭიროებების განსაზღვრას, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებას;
- სწავლის პროცესის თავისებურებების, ცოდნის მიღების საკუთარი სტილისა და შესაძლებლობების გაცნობიერებას, და შესაბამისად, სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვას და ამ გეგმის განხორციელებას;
- დროისა და რესურსების ეფექტურ მენეჯმენტს.

ღირებულებები (ორივე მიმართულებისთვის)

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:

- პროფესიული ეთიკის და პაციენტის უფლებების პატივისცემის უნარი;
- ისეთი დარგობრივი ღირებულებების გაცნობიერებისა და დაცვის მექანიზმების გასიგრძეგანების უნარი, როგორცაა კლიენტის საუკეთესო ინტერესი, არაშეფასებითი დამოკიდებულება, კონფიდენციალობის პრინციპი, რესურსული ხედვა, ბუნებრივი დამღევის ხელშეწყობა;
- დარგის ეთიკური დილემების გაცნობიერების და კონკრეტულ სიტუაციაში კლიენტთან საუკეთესო შესაძლებელი ეთიკური სტრატეგიის შემუშავების უნარი;
- კლიენტზე/ბენეფიციარზე ორიენტირებული ფჯ სამსახურის კონცეფციის, კოლეგებისა და მოსარგებლეების აზრის პატივისცემის უნარი;
- სამეცნიერო კვლევის ეთიკისა ცოდნა და უსფრთხოების წესების დაცვის უნარი.

**პროგრამის სტრუქტურა**

**სამაგისტრო პროგრამა ფსიქიკური ჯანმრთელობა - კოდით PH**

პროგრამა

- საერთო სავალდებულო კურსები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში - 24 კრედიტი;
- **სოციალური ფსიქიატრიის მიმართულება** -36 კრედიტი;
- **ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულება** - 36 კრედიტი;
- მეორე მიმართულებიდან - 12 კრედიტი;
- თავისუფალ არჩევითი - 18 კრედიტი;
- **სამაგისტრო ნაშრომი** - 30 კრედიტი;

მაგისტრი სოციალურ ფსიქიატრიაში აგროვებს 24 კრედიტს საერთო სავალდებულო კურსებიდან + 36

კრედიტს სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებიდან +12 კრედიტს ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულების კურსებიდან + 18 კრედიტს თავისუფალი არჩევითი საგნებიდან (შესაძლებელია პროგრამაში შემავალი კურსების სწავლება) + 30 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომით = 120 კრედიტს.  
 მაგისტრი ფსიქოტრავმატოლოგიაში აგროვებს 24 კრედიტს საერთო სავალდებულო კურსებიდან + 36 კრედიტს ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებიდან + 12 კრედიტს სოციალური ფსიქიატრიის მიმართულების კურსებიდან +18 კრედიტს თავისუფალი არჩევითი საგნებიდან (შესაძლებელია პროგრამაში შემავალი კურსების სწავლება)+ 30 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომით = 120 კრედიტს.

### სწავლების მეთოდები

- სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:
- წერითი და ვერბალური მეთოდი,
- ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა,
- პრაქტიკული სამუშაო - სტაჟირება ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა სერვისში,
- დაკვირვება (shadowing),
- რეფლექსია
- პროექტები,
- დემონსტრირების მეთოდი,
- დისკუსია,
- ინტერვიზია და სუპერვიზია,
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები,
- მინი-კონფერენცია.

### შეფასების წესი

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები.

### დასაქმების სფეროები

რეფორმირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, ფსიქიატრიული კლინიკები, ამბულატორიული ფჯ სამსახური, თემზე-დაფუძნებული ფჯ სერვისები: კრიზისული ინტერვენციის სამსახურები, მობილური სათემო გუნდები, ფ/ს რეაბილიტაციის ცენტრები, სხვადასხვა ფსიქოტრავმა-ცენტრები, ბავშვთა და მოზარდთა სამსახურები, რეზიდენტული სახლები/საცხოვრისები და სხვ.).  
სოციალური ზრუნვის და დაცვის სამსახურები, როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილთა და ხანდაზმულთა.  
სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ფჯ პოლიტიკის/სტრატეგიის დარგში.  
შესაბამისი პროფილის კვლევითი ორგანიზაციები.

**სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები**

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო ფჯ რესურს ცენტრი სპეციალიზებული ბიბლიოთეკით. კლინიკური პრაქტიკისა და კვლევებისათვის – ფჯ ცენტრები როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო კლინიკები: თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, „გორის ტრავმის ცენტრი, საქართველოს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი, ასათიანის სახ. ფჯ ცენტრის კრიზისული ინტერვენციის და სათემო მომსახურების მობილური სამსახურები, ლუდუშაურის სახ. კლინიკის ფსიქიკური ჯანმრთელობის განყოფილება, რუსთავის ფჯ ცენტრი, ქუთაისის ფჯ ცენტრი და სხვ.  
დამატებითი რესურსი: ფონდის გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში საერთაშორისო ექსპერტული ქსელი; საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების საექსპერტო ქსელი (ESTSS, ISTSS).



N	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	საკონტ.საათები	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
<b>საერთო სავალდებულო კურსები ფსიქიკური ჯანმრთელობაში (24 კრედიტი)</b>								
1	კვლევის მეთოდები სოციალური მეცნიერებებში	სავ	ნ. რჩელიშვილი; ნ. ანდლულაძე; თ. ბრეგვაძე; მ. დალაქიშვილი		6	32	x	
2	აკადემიური წერა	სავ	ე. ბერიკიშვილი; თ. ჭყოიძე; მ. დგებუაძე		6	30		x
3	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	სავ	ეკა ჭყონია		6	60	x	
4	ფსიქიკური ჯანმრთელობა - თანამედროვე მიდგომები. თემზე-დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობა	სავ	ბენედეტო სარაჩენო; გრეჰემ თორნიკროფტი; ნინო მახაშვილი; ნანა ზავრადაშვილი; სოფიო მორგოშია		6	60	x	
<b>სოციალური ფსიქიატრია (36 კრედიტი = 24 კრედიტი სავალდებულო, 12 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი)</b>								
5	სოციალური ფსიქიატრია	სავ	ეკა ჭყონია; მარინა კურატაშვილი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	60		x
6	საცხოვრისები და ფსიქოგერიატრიული რეზიდენციული დაწესებულებები	სავ	ეკა ჭყონია; ნანა ზავრადაშვილი;	სოციალური ფსიქიატრია	6	32	x	
7	ასერტული სტაციონარგარეშე თერაპია და კრიზისული ინტერვენცია	სავ	გრეჰემ თორნიკროფტი; ეკა ჭყონია; ნანა ზავრადაშვილი;		6	32		x
8	ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგის მულტიდისციპლინური გუნდი და შემთხვევის მართვა	სავ	ნანა ზავრადაშვილი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	32		x
9	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	სავ.- არჩ	მარინა კურატაშვილი		6	60	x	
10	ფსიქოფარმაკოლოგია	სავ.- არჩ	ეკა ჭყონია		6	32	x	
11	კოგნიტურ-ბიჰევიორისტული თერაპია	სავ.- არჩ	ნატა მეფარიშვილი		6	30	x	
12	მოსაზღვრე მდგომარეობათა ფსიქოკონსულტირება ზრდასრულებში	სავ.- არჩ	რევაზ კორინთელი		6	30		x

13	პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: პატიმართა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაციისაკენ მიმართული მოდელები	სავ.- არჩ	ნანა ზავრდაშვილი, ნინო მახაშვილი, სოფო მორგოშია		6	47	x	
14	ჯანდაცვის პოლიტიკა	სავ.- არჩ	თენგიზ ვერულავა		6	32		x
15	მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში	სავ.- არჩ	ნინო მახაშვილი, ჯანა ჯავახიშვილი			45		x
16	დელინქენტობის პრევენცია მოზარდებში	სავ.- არჩ	ნინო მახაშვილი, ჯანა ჯავახიშვილი			32		x
17	აკადემიური ინგლისური ენა (ENG)	სავ.- არჩ	მაია როგავა		6	60	x	
<b>ფსიქოტრავმატოლოგია (36 კრედიტი = 24 კრედიტი სავალდებულო, 12 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი)</b>								
18	ფსიქოტრავმატოლოგია და ტრავმასთან დაკავშირებული მდგომარეობები	სავ	ნინო მახაშვილი; ქეთევან ფილაური; ჯონათან ბისონი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	45		x
19	ფსიქოტრავმის შედეგების მართვა	სავ	ჯონათან ბისონი; ბორის დროჟდევკი; ბერთოლდ გერსონსი; ნინო მახაშვილი; ლელა ცისკარიშვილი	ფსიქოტრავმატოლოგია და ტრავმასთან დაკავშირებული მდგომარეობები	6	60	x	
20	სოციალური ტრავმა: ფენომენოლოგია და გამკლავება	სავ	ჯანა ჯავახიშვილი		6	32		x
21	ფსიქოტრავმა ბავშვებსა და მოზარდებში და მისი მართვა	სავ.- არჩ	ნინო მახაშვილი, ჯანა ჯავახიშვილი;		6	60	x	
22	კატასტროფის შედეგად განვითარებული მასობრივი ტრავმის მენეჯმენტი	სავ	ჯანა ჯავახიშვილი; ნინო მახაშვილი		6	32	x	
23	ნარკოტიკების ავადმომარების პრევენცია	სავ.- არჩ	ჯანა ჯავახიშვილი		6	30	x	
24	ფსიქონალიზური ფსიქოკონსულტირება	სავ.- არჩ	რევაზ კორინთელი		6	30	x	
25	პიროვნების ზრდაზე მიმართული ფსიქოკონსულტირება	სავ.- არჩ	რევაზ კორინთელი		6	30	x	
26	ტრავმის ნეორონული საფუძვლები	სავ.- არჩ	ქეთევან ფილაური		6	30	x	



27	ჯანდაცვის პოლიტიკა	სავ.- არჩ	თენგიზ ვერულავა		6	30		x
28	აკადემიური ინგლისური ენა (ENG)	სავ.- არჩ	მაია როგავა		6	60	x	
29	მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში	სავ.- არჩ	ნინო მახაშვილი, ჯანა ჯავახიშვილი		6	45		x
30	დელინქენტობის პრევენცია მოზარდებში	სავ.- არჩ	ნინო მახაშვილი, ჯანა ჯავახიშვილი		6	32		x
31	სამაგისტრო ნაშრომი	სავ		კვლევის მეთოდები სოციალური მეცნიერებებში; აკადემიური წერა	30			x